

---

## სტუდენტური ფორუმი

### ევროპული კომისია

#### ნიკოლოზ ბილიბაშვილი\*

ევროპული კომისია წარმოადგენს ევროპის ინტერესებს ევროპული კავშირის ინსტიტუციურ სტრუქტურაში. იგი ევროპული კავშირის ერთადერთი ორგანოა, რომელსაც გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და ამ რანგში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ევროპული კავშირის განვითარების ტემპებისა და მიმართულების განსაზღვრას. „ხელშეკრულებათა მცველის“ როლში იგი უზრუნველყოფს ევროპული სამართლის დაცვას. ევროპული კომისია ნახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურაში ჩაისახა, რომელიც დღევანდელი კომისიის წინამორბედს წარმოადგენდა. 1967 წელს აღმასრულებელი ორგანოების შერწყმის თაობაზე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ სამივე ევროპულ გაერთიანებას (ნახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებას, ევრო-ატომსა და ევროპულ გაერთიანებას) ერთი კომისია ემსახურება.

კომისია ევროპული კავშირის ინსტიტუციური სისტემის მამოძრავებელი ძალაა:

1) იგი უფლებამოსილია, საკანონმდებლო ინიციატივებით მიმართოს პარლამენტსა და მინისტრთა საბჭოს;

2) ევროპული კავშირის აღმასრულებელი ორგანოს რანგში იგი პასუხს აგებს ევროპული კანონმდებლობის (დირექტივების, რეგლამენტების, გადაწყვეტილებების) აღსრულებაზე, ბიუჯეტისა და პარლამენტისა და საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამების განხორციელებაზე;

3) იგი არის ხელშეკრულებების მცველი და ევროპის სასამართლოსთან ერთად უზრუნველყოფს გაერთიანების სამართლის სწორ გამოყენებას;

4) იგი წარმოადგენს ევროპულ კავშირს საერთაშორისო დონეზე და საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე გამართული მოლაპარაკებების დროს, ძირითადად ვაჭრობისა და თანამშრომლობის სფეროში;

5) იგი განკარგავს ევროპული კავშირის ბიუჯეტს.

კომისიის საკანონმდებლო ინიციატივები ეხება დამფუძნებელი ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სფეროებს, კერძოდ: ტრანსპორტს, მრეწველობას, სოციალურ პოლიტიკას, სოფლის მეურნეობას, გარემოს დაცვას, ენერგეტიკას, რეგიონალურ განვითარებას, სავაჭრო ურთიერთობებსა და თანამშრომლობის განვითარებას. კომისიის ინიციატივები მხოლოდ იმ სფეროებს მოიცავს, სადაც გაერთიანების მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებები უფრო ეფექტიანი იქნება, ვიდრე ეროვნულ, რეგიონალურ, თუ ადგილობრივ დონეზე გადადგმული ნაბიჯები. ეს ინიციატივები ევროპული კავშირისა და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვას ისახავს მიზნად.

მას შემდეგ, რაც კომისია საბჭოსა და ევროპულ პარლამენტს წარუდგენს საკანონმდებლო წინადადებას, სამივე ორგანო ერთად მუშაობს სასურველი შედეგის მისაღწევად. საბჭო, ჩვეულებრივ, კვალიფიცირებული უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წინადადების თაობაზე (ან ერთხმად, თუ იგი საერთოდ უარყოფს პროექტს), ხოლო კომისია შეისწავლის ევროპული პარლამენტის მიერ შეტანილ ცვლილებებს საბოლოო, შესწორებული წინადადების წარდგენამდე.

---

\* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი და GEPLAC-ის სტაჟორი.

საბჭოსა და ევროპული პარლამენტის მიერ საკანონმდებლო აქტის დამტკიცების შემდგომ იგი ცხოვრებაში უნდა იქნეს გატარებული. როგორც წესი, გაერთიანების წესების პრაქტიკულ გამოყენებაზე პასუხისმგებლად თავად წევრი სახელმწიფოები გვევლინებიან. თუმცა ზოგიერთ სფეროში ევროპული კომისია უფლებამოსილია, შეიმუშაოს განხორციელებისათვის საჭირო ნორმები. მაგალითად, მას ევალება სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის, რეგიონალური განვითარების პოლიტიკის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობისა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და ატლანტის ოკეანის აუზის ქვეყნებთან განვითარების სფეროებში თანამშრომლობის დაგეგმვა და განხორციელება. კომისია ხელმძღვანელობს, აგრეთვე, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების პროგრამებს.

კომისიის ფუნქციებში შედის გაერთიანების ბიუჯეტის განკარგვა აუდიტორთა საბჭოს ზედამხედველობით. აუდიტორთა საბჭოს წლიური ანგარიშის საფუძველზე ევროპული პარლამენტი კომისიას აძლევს ბიუჯეტის განხორციელების მანდატს.

ხელშეკრულებების მცველის როლში კომისია უზრუნველყოფს ევროპული კანონმდებლობის სწორ გამოყენებას წევრ სახელმწიფოებში, რათა შენარჩუნებულ იქნეს ნდობის ფაქტორი წევრ სახელმწიფოებს, ეკონომიკურ აგენტებს და კერძო პირებს შორის. მის მოვალეობაში შედის საჭირო ზომების მიღება გაერთიანების ვალდებულებების დარღვევათა აღმოსაფხვრელად. თუ შეუძლებელია მდგომარეობის დარღვევათა აღმოფხვრის პროცედურის მეშვეობით დარეგულირება, კომისია საქმეს ევროპულ სასამართლოს გადასცემს, რომელიც უზრუნველყოფს კანონის დაცვას ხელშეკრულებების განმარტებისა და გამოყენების დროს. გარდა ამისა, კომისია, ევროპული სასამართლოს ზედამხედველობით, აკონტროლებს კომპანიების მიერ კონკურენციის შესახებ კანონების დაცვას.

კომისია, როგორც ევროპული კავშირის აღმასრულებელი ორგანო, წარმოადგენს მას საერთაშორისო დონეზე. იგი მონაწილეობს იმ ხელშეკრულებების შეთანხმების პროცესში, რომლებიც სცილდებიან ევროპული კავშირის სტრატეგიულ მიმართულებებს.

1995 წლიდან ევროპული კომისია შედგება 20 წევრისაგან – „კომისიისგან“, – რომელთაც ნიშნავენ წევრი სახელმწიფოები პარლამენტში კენჭისყრის შემდეგ. კომისიის წევრად არჩევამდე მრავალი მათგანი ეროვნული ან ევროპული პარლამენტის წევრი იყო, ზოგიერთს კი მინისტრის ან სამინისტროს აპარატის საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა საკუთარ ქვეყანაში. ამდენად, მათი გამოცდილებიდან და ცოდნიდან გამომდინარე, კომისრებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.

20 კომისარი ხელმძღვანელობს „გენერალურ დირექტორატებად“ წოდებული 24 სპეციალიზებული ქვედანაყოფისა და სხვადასხვა სამსახურის 16 000 თანამშრომელს. საკანონმდებლო პროცედურების თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვან ქვედანაყოფს წარმოადგენს გენერალური დირექტორატი, რომელიც კურირებს კომისიაში გადანყვეტილების მიღების პროცესს და უზრუნველყოფს კავშირს სხვა ორგანოებთან.

კომისიას გააჩნია წარმომადგენლობები ევროპული კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში, აგრეთვე, მრავალ ქვეყანაში, რომლებთანაც ევროპულ კავშირს მჭიდრო კონტაქტები აქვს. ერთ-ერთი წარმომადგენლობა გახსნილია თბილისშიც, რომლის საქმიანობაც ვრცელდება საქართველოსა და სომხეთზე.

ყველა დიდი წევრი სახელმწიფო ასახელებს ორ კომისარს, ხოლო დანარჩენი – თითო-თითოს. კომისიის შემადგენლობის ხელახალი დანიშვნა ხდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ევროპული პარლამენტის მიერ დამტკიცების შემდეგ, ევროპული პარლამენტში არჩევიდან ექვს თვეში. ეს ინტერვალი ახალ პარლამენტს საშუალებას აძლევს, დაამტკიცოს კომისიის პრეზიდენტის წევრი სახელმწიფოების მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა, სანამ პრეზიდენტი დაასახელებდეს თავისი მომავალი გუნდის შემადგენლობას წევრი სახელმწიფოების მთავრო-



**ეკონომიკური და ფინანსური საკითხები** – დირექტორატის საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ეკონომიკური ზედამხედველობა (ევროს ზონა და ევროპული კავშირი), საბიუჯეტო პოლიტიკისა და სახელმწიფო ფინანსების მონიტორინგი, ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია, ევროსთან დაკავშირებული სამართლებრივი, პრაქტიკული და ინსტიტუციური საკითხები, საფინანსო ბაზრებისა და კაპიტალის მოძრაობა, ეკონომიკური ურთიერთობები მესამე ქვეყნებთან, დაფინანსება.

**განათლება და კულტურა** – განათლებისა და კულტურის დირექტორატის ძირითადი ამოცანებია: ადამიანების დაახლოება მათ შორის პატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობის მიზნით, განათლების ევროპული ზონის შექმნა, კულტურული და აუდიო-ვიზუალური სექტორების განვითარების ხელშეწყობა.

**დასაქმება და სოციალური საკითხები** – დასაქმებისა და სოციალურ საკითხთა დირექტორატს ევალება თანამედროვე, ნოვატორული და მდგრადი ევროპული სოციალური მოდელის ჩამოყალიბება, სადაც თანაბარ შესაძლებლობებზე დამყარებულ, ერთიან საზოგადოებაში გაცილებით მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილები იქნება. დირექტორატის ძირითადი სტრატეგიული სფეროებია: დასაქმება; შრომის მონყოლა შრომის სტანდარტების, სამუშაო მოდერნიზაციისა და სოციალური დიალოგის განვითარების ჩათვლით; სოციალური დაცვა; სოციალური მონაწილეობა; ქალებისა და მამაკაცებს შორის თანასწორობა; თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

**ენერგეტიკა და ტრანსპორტი** – ამ დირექტორატს ევალება ევროპული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში. მისი ამოცანაა, უზრუნველყოს, რომ ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში შემუშავებული სტრატეგიული კურსები ემსახურებოდეს საზოგადოების ყველა ფენის, მრეწველობის დარგების, ქალაქების, სოფლების და საერთოდ მოსახლეობის კეთილდღეობას.

**საწარმოები** – საწარმოთა დირექტორატის მიზანია საერთო ბიზნეს-გარემოს კონტროლი, რათა საწარმოებს მიეცეთ შესაძლებლობა, განამტკიცონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა, გაიზარდონ და განვითარდნენ ისე, როგორც შეესაბამება ევროპული კავშირის საერთო მიზანს – მდგრად განვითარებას. მის ძირითად ამოცანებში შედის: პროდუქციის ერთიანი ბაზრის შექმნა და მართვა; კონკურენტუნარიანობისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება; საინოვაციო და კვლევის ჩარჩო-პროგრამები, არასაკანონმდებლო სექტორული საქმიანობა; სხვა სტრატეგიულ მიმართულებებთან თანამშრომლობა და შესაბამისობა.

**გარემოს დაცვა** – ამ დირექტორატის ძირითად როლს წარმოადგენს ახალი გარემოს-დაცვითი კანონმდებლობის შემუშავება და განსაზღვრა, აგრეთვე იმის უზრუნველყოფა, რომ უკვე შეთანხმებული ღონისძიებები რეალურად ხორციელდება ნევრ სახელმწიფოებში.

**თევზჭერა** – აღნიშნული დირექტორატი თევზჭერის ერთიან პოლიტიკაზე პასუხისმგებელი, რომელიც მოიცავს თევზჭერასთან დაკავშირებულ ყველანაირ საქმიანობას, წყლის ცოცხალი რესურსების მოშენებასა და მათ გადამუშავება-რეალიზაციას ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 33-ე (ყოფილი 39-ე) მუხლის შესაბამისად.

**ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა** – გენერალური დირექტორატის მოვალეობას წარმოადგენს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობებისა და შესაბამისი კანონმდებლობის განხორციელება ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით მთელი ევროპული კავშირის მასშტაბით. იგი კურირებს შემდეგ სფეროებს: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, საკვები პროდუქტების უსაფრთხოება, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სტანდარტები და კონტროლი, ცხოველების ჯანმრთელობის დაცვის ჩათვლით; სამეცნიერო ხასიათის რეკომენდაციები და მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

**საინფორმაციო საზოგადოება** – საინფორმაციო საზოგადოების გენერალური დირექტორატი ძირითად როლს ასრულებს ევროპის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ ჩამოყალიბებული „ხედვის“ განხორციელებაში: გადავაცციოთ ევროპა მსოფლიოს ყველაზე კონკურენტუნარიან და დინამიკურად განვითარებად რეგიონად, რომლის დამახასიათებელი ნიშნები იქნება სტაბილური ზრდა, უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილები და უფრო მჭიდრო სოციალური კავშირები.

**შიდა ბაზარი** – შიდა ბაზრის გენერალური დირექტორატის როლს წარმოადგენს ევროპული კომისიის საერთო პოლიტიკის კოორდინირება ევროპის შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით და კომისიის პოლიტიკის გატარება ერთიანი ბაზრის ძირითად სფეროებში. მისი ამოცანაა საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილებისა და დაფუძნების თავისუფლების გაუმართლებელი დაბრკოლებების აღმოფხვრა. დირექტორატს ევალება, აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვებთან, ფინანსურ მომსახურებასთან, საფოსტო მომსახურებასთან, პროფესიული დონის აღიარებასთან, პირადი მონაცემების დაცვასთან, საკორპორაციო სამართალთან, საბუღალტრო აღრიცხვასთან, სანარმოო და ინტელექტუალურ საკუთრებასთან, კავშირის კომერციულ და ელექტრონულ საშუალებებთან და კავშირებული წესების კოორდინირება და ზედამხედველობა საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით.

**ერთობლივი კვლევის ცენტრი** – ერთობლივი კვლევის ცენტრის მიზანია მომხმარებლის მოთხოვნაზე დაფუძნებული სამეცნიერო და ტექნიკური დახმარების აღმოჩენა ევროპული კავშირის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავების, განვითარების, განხორციელებისა და მონიტორინგის მიზნით. ერთობლივი კვლევის ცენტრი ფუნქციონირებს როგორც ევროპული კავშირის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის საბაზისო ცენტრი.

**სამართლებრივი და საშინაო საკითხები** – ამ გენერალური დირექტორატის როლი მჭიდროდ უკავშირდება ევროპული კავშირის ერთ-ერთ ძირითად მიზანს – „უზრუნველყოს, რომ ევროპული კავშირი იქცეს თავისუფლების, უსაფრთხოების და სამართლიანობის ზონად“. ამ სტერდამის ხელშეკრულებამ დირექტორატის გამგებლობას შემდეგი სფეროები დაუქვემდებარა: ევროპული კავშირის საზღვრები, იმიგრაცია და თავშესაფრის უფლება, სამართლებრივი თანამშრომლობა სამოქალაქო სამართლის საკითხებში. საბაჟო და საპოლიციო თანამშრომლობას და სამართლებრივ თანამშრომლობას სისხლის სამართლის საკითხებში დირექტორატი წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით უკურირებს.

**რეგიონალური პოლიტიკა** – რეგიონალური პოლიტიკის გენერალური დირექტორატი ევროპული კომისიის ის ქვედანაყოფია, რომელიც პასუხს აგებს დამფუძნებელი ხელშეკრულების 158-ე და 160-ე მუხლების შესაბამისად განხორციელებული ევროპული ღონისძიებების მიმდინარეობაზე, რაც მიზნად ისახავს ევროპული კავშირის ნაკლებად პრივილეგირებული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარებას.

**კვლევა** – ამ გენერალური დირექტორატის ამოცანას წარმოადგენს ევროპული კავშირის პოლიტიკის შემუშავება კვლევის და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში და შესაბამისად, ევროპული მრეწველობის საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, ევროპის მასშტაბით განხორციელებული კვლევითი საქმიანობის წევრი სახელმწიფოების დონეზე განხორციელებულ კვლევებთან კოორდინირება და თანამედროვე საზოგადოების მიერ მეცნიერების როლის უკეთ აღქმის ხელშეწყობა.

**გადასახადები და საბაჟო კავშირი** – ეს გენერალური დირექტორატი ახორციელებს საბაჟო კოდექსის ადმინისტრირებას და კონტროლს უწევს მის გამოყენებას, ამასთანავე იგი ატარებს პოლიტიკას, რომლის მიზანია, უზრუნველყოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული საბაჟო ხელისუფლება ისე იყენებდეს კანონს როგორც ერთიანი საბაჟო ადმინისტრაცია. იგი უზრუნველყოფს გაერთიანების სამართლის დაცვას ერთიანი ბაზრის სრული რეალიზაციის გარანტირებისა და ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო კავშირის შექმნის ხელშეწყობის მიზნით.

**განვითარება** – გენერალური დირექტორატის ამოცანას წარმოადგენს სტაბილური განვითარების ხელშეწყობა, რომლის მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა განვითარებად ქვეყნებში და მათი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. ვინაიდან გენერალური დირექტორატის პოლიტიკის ამოსავალ წერტილს თანასწორობა წარმოადგენს, იგი პრიორიტეტს ყველაზე ნაკლებად პრესტიჟული განვითარებადი ქვეყნებისა და ეკონომიკურად შედარებით უკეთეს პირობებში მყოფი განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის უღარიბესი ფენების ინტერესების დაცვას ანიჭებს.

**გაფართოება** – ეს დირექტორატი პასუხისმგებელია ევროპული კავშირის გაფართოებაზე. ამჟამად იგი კურირებს მიერთების წინა პროცესების მიმდინარეობას, მოლაპარაკებებს მიერთების თაობაზე და ყველანაირ ორმხრივ ურთიერთობებს ცამეტ კანდიდატ ქვეყანასთან.

**ევროპეიდის თანამშრომლობის სამსახური** – ევროპეიდის თანამშრომლობის სამსახურის მიზანს წარმოადგენს ევროპული კავშირის საგარეო დახმარების ინსტრუმენტების ცხოვრებაში გატარება, რომელთა დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს ევროპული გაერთიანების ბიუჯეტი და ევროპული განვითარების ფონდი. სამსახურის მოვალეობაში შედის პროექტების ზედამხედველობა მათი განხორციელების ყველა ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების გენერალური დირექტორატების მიერ შემუშავებული და კომისიის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიზნების განხორციელებას.

**საგარეო ურთიერთობები** – საგარეო ურთიერთობათა გენერალური დირექტორატის მოვალეობებში შედის: ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ევროპული კავშირის წევრები და არ მონაწილეობენ გაფართოების პროცესში; ურთიერთობა არაევროპულ ქვეყნებთან; ტასისის ფონდის ფარგლებში დახმარების პროგრამების დაგეგმვა აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში; ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ე.ი. გაეროსთან, ნატოსთან, დასავლეთევროპულ კავშირთან, ეუთოსთან და ევროპის საბჭოსთან.

**ჰუმანიტარული დახმარების სამსახური** – სამსახურის ამოცანას წარმოადგენს უბედურების ზონებში საქონლისა და მომსახურების სწრაფი მიწოდების უზრუნველყოფა. საქონელი შეიძლება მოიცავდეს პირველი საჭიროების ნივთებს, სპეციალური დანიშნულების კვების პროდუქტებს, სამედიცინო აპარატურას, მედიკამენტებს და სანვავს, ხოლო მომსახურება – ექიმთა, წყლის გამწმენდ სპეციალისტთა ჯგუფებსა და ტექნიკურ უზრუნველყოფას. საქონელი და მომსახურება უბედურების ზონებს ჰუმანიტარული სამსახურის პარტნიორების მეშვეობით მიეწოდება.

**ვაჭრობა** – ვაჭრობის დირექტორატს ევალება ევროპული კავშირის სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება დამფუძნებელი ხელშეკრულების 133-ე მუხლით განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად: „ხელი შეუწყოს, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიო ვაჭრობის ჰარმონიულ განვითარებას, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშემწყობი შეზღუდვების თანდათანობით აღმოფხვრას და საბაჟო ბარიერების შემცირებას“.

**ბიუჯეტი** – ბიუჯეტის გენერალური დირექტორატის საქმიანობაში შედის: საბიუჯეტო ორგანოებიდან – ევროპული პარლამენტისა და მინისტრთა საბჭოსაგან ევროპული კავშირის სტრატეგიული მიმართულებების გატარებისათვის საჭირო სახსრების მიღების უზრუნველყოფა; ბიუჯეტის მარეგულირებელი ბაზის მართვა; ბიუჯეტის განკარგვა როგორც შემოსავლების, ისე ხარჯვითი ნაწილის მიხედვით; ორგანოების წლიური ანგარიშების მომზადება და ანგარიშგება ბიუჯეტის განკარგვის თაობაზე; კომისიის ქვედანაყოფების სწორი ფინანსური მართვის ხელშეწყობა კონსულტაციებითა და სასწავლო პროგრამებით, აგრეთვე, კონტროლისა და მართვის ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის მეშვეობით.

**ფინანსური კონტროლი** – ყველაზე მნიშვნელოვან ერთიან საფუძველს გენერალური ბიუჯეტის ფინანსური რეგულირება წარმოადგენს. სამართლებრივ მოთხოვნათა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ფინანსური გარიგებების შესწავლა და ვიზირება.

**პოლიტიკის საკითხებზე მრჩეველთა ჯგუფი** – პოლიტიკის საკითხებზე მრჩეველთა ჯგუფი უშუალოდ პრეზიდენტის წინაშე ანგარიშვალდებული. მის მოვალეობებში შედის დროული, საფუძვლიანი და მიუკერძოებელი კონსულტაციების განწევა პრეზიდენტისა და კომისრებისთვის ევროპული კავშირის სამომავლო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების ნებისმიერი ასპექტის თაობაზე.

**შიდა აუდიტის სამსახური** – შიდა აუდიტის სამსახურს ევალება ევროპული კომისიის შიგნით არსებული შიდა კონტროლის სისტემების აუდიტის განხორციელება მათი ეფექტიანობის, ხოლო უფრო ზოგადად, სტრატეგიული მიმართულებების, პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებისას კომისიის ქვედანაყოფების საქმიანობის შესაფასებლად და მათი მუდმივი დახვეწის მიზნით.

**გაერთიანებული სათარჯიმნო და საკონფერენციო სამსახური** – გაერთიანებული სათარჯიმნო და საკონფერენციო სამსახური სათარჯიმნო მომსახურების ყველაზე დიდ ცენტრს წარმოადგენს მსოფლიოში. იგი ერთობლივი სამსახურია, რომელიც მაღალ-კვალიფიციურ სათარჯიმნო მომსახურებას უწევს ევროპულ კომისიას, ევროპულ საბჭოს, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტს, რეგიონების საკითხთა კომიტეტს, ევროპის საინვესტიციო ბანკსა და ევროპული კავშირის სხვა ორგანოებს ბრიუსელსა და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

**იურიდიული სამსახური** – იურიდიული სამსახური შიდა, ყოვლისმომცველ დახმარებას უწევს კომისიას და ყველა მის ქვედანაყოფს. აუცილებელია მისი რესურსების გადანაწილება, რათა სამსახურმა მოიცვას კომისიის საქმიანობისა და ინტერესების ყველა სფერო. თითოეულ სფეროში მან უნდა შეძლოს კომისიისათვის დახმარების აღმოჩენა კანონშემოქმედებითი ფუნქციების განხორციელებისა და საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმოებისას იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ხელშეკრულებების მცველს, და დამფუძნებელი ხელშეკრულებების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას.

**პერსონალი და ადმინისტრაცია** – ამ გენერალური დირექტორატის მოვალეობათა ნუსხაში შედის კომისიისა და მისი გენერალური დირექტორატებისთვის, საკუთრივ კომისიის პერსონალისათვის, სხვა დანესებულებებისა და წევრი სახელმწიფოებთვის მარეგულირებელი საქმიანობის განხორციელება, მხარდაჭერა და მომსახურება.

**მთარგმნელობითი სამსახური** – მთარგმნელობითი სამსახურის ძირითადი დანიშნულებაა, საშუალება მისცეს კომისიას ყველაზე ეფექტიანი და რენტაბელური გზით განხორციელოს მასზე დაკისრებული სამართლებრივი და პოლიტიკური ვალდებულებები და მოთხოვნები იმ ენებთან მიმართებით, რომლებზეც ახორციელებს მიმოწერას.

კომისიის შტაბ-ბინა განთავსებულია ბრიუსელში. კომისია, ჩვეულებრივ, იკრიბება კვირაში ერთხელ, ოთხშაბათს. საპარლამენტო სესიების დროს მისი შეხვედრები იმართება სტრასბურგში.

შეხვედრებზე განიხილება ევროპული კავშირის პოლიტიკა, ხდება გადანყვეტილებების მიღება საკანონმდებლო ინიციატივებისა და პოლიტიკური დოკუმენტების თაობაზე. კომისიის წევრების დღის წესრიგში მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ხვდება. სხვა მრავალი გადანყვეტილება წერილობითი პროცედურის მეშვეობით მიიღება. კომისიის თითოეულ წევრს გააჩნია მოვალეობათა საკუთარი სფერო და პასუხს აგებს შესაბამისი ქვედანაყოფს/გენერალური დირექტორატის საქმიანობაზე. ევროპული კომისია ყოველთვის მოქმედებს, როგორც ერთიანი ორგანო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადანყვეტილება მხოლოდ მაშინ ითვლება მიღებულად, თუ მას მხარი წევრების უმრავლესობამ დაუჭირა. კომისიის თითოეულ წევრს ევალება უპირობოდ დაუჭიროს მხარი კომისიის საერთო პოლიტიკას.